საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/1766
15/03/2023

1766-21-2-202303151342

შპს „ბათუმის მილს“
მის: ხულო, ს, ლაბაიძეების 1 ჩიხი N 1;
ქ. ბათუმი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა #11ბ;
ელ. ფოსტა: gia.batumi@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, 2023 წლის 6 მარტს წარმოდგენილი N1761 განცხადება, რომელიც ეხება ქ. ბათუმში, პოლიეთილენის წყლის მილების დამამზადებელ საწარმოში ახალი ტექნოლოგიური ხაზის (ნარჩენების აღდგენა) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- გზშ-ის ანგარიშის 2.1.1 ცხრილში მოცემული საწარმოს ტერიტორიის კუთხეთა წვეროების კოორდინატები არ ემთხვევა როგორც საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო (ს/კ 05.26.28.045), ასევე Shp ფაილებით წარმოდგენილ საზღვრებს, რაც საჭიროებს კორექტირებას;
- გარდა ამისა, წარმოდგენილი Shp ფაილები მოიცავს როგორც საწარმოს განთავსების ტერიტორიას, ასევე მის მიმდებარედ კერძო საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებს. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობა, მათ შორის საკადასტრო კოდით განსაზღვრული საპროექტო ტერიტორიის ნაკვეთი და Shp ფაილი შესაბამისობაში უნდა იქნას ერთმანეთთან;
- გზშ-ის ანგარიშში, თავი 4.11. (ზემოქმედება ნედლეულის/პროდუქციის ტრანსპორტირებისას და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები) აღნიშნულია, რომ სატრანსპორტო ოპერაციები განხორციელდება დღის საათებში (დილის 7 სთ-დან საღამოს 23 სთ-მდე) როგორც ნედლეულის შემოტანისას, ასევე პროდუქციის გატანისას. ვინაიდან, დოკუმენტაციის თანახმად, საწარმო იმუშავებს დღეში 8 სთ-

ს, დაზუსტებას და კორექტირებას საჭიროებს სატრანსპორტო ოპერაციების განხორციელების გრაფიკი;

- გზშ-ის ანგარიშის ცხრილში 8.1. მოცემულია საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში წარმოქმნილი ნარჩენების მიახლოებითი რაოდენობა წლების მიხედვით, 2022, 2023 და 2024 წლების შესაბამისად. აღნიშნული ჩანაწერი (კერძოდ 2022 წ) საჭიროებს კორექტირებას.
- გზშ-ის ანგარიშის ქვეთავში - „წყლის მდგომარეობის მონიტორინგი და მისი განხორციელების გეგმა, ჩამდინარე წყლების მონიტორინგი“ აღნიშნულია, რომ საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-ფეკალური წყლები ჩაედინება ბეტონის ამოსაწმენდ ორმოში. ხოლო 4.2. ქვეთავში (ზემოქმედება წყლის ხარისხზე) მითითებულია, რომ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ჩაედინება ქ. ბათუმის საკანალიზაციო სისტემაში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს ჩამდინარე წყლების მართვის საკითხი;
- გზშ-ის ანგარიშის 1.2.1. ქვეთავში წარმოდგენილი „საქართველოს გარემოსდაცვითი კანონების ნუსხა“ საჭიროებს არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. აღნიშნული საკითხი აგრეთვე გათვალისწინებული უნდა იყოს დოკუმენტის სხვა ნაწილებშიც. ამასთან, დოკუმენტის 115-ე და 126-ე გვერდზე ადამიანთა გარემოსდაცვითი უფლებების დაცვის საფუძვლად მითითებულია საქართველოს კონსტიტუციის 37-ე მუხლი. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას. გარდა ამისა, დანართში 4 მოცემული ინფორმაცია გზშ-ს ანგარიშის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ (მათ შორის ვადები) საჭიროებს კორექტირებას და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას;
- დანართში 4 (სკოპინგის ეტაპზე საზოგადოების ინფორმირებისა და მათ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებისა და შენიშვნების შეფასება) მითითებულია, რომ სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით 2022 წლის 13 ოქტომბერს ქ. ბათუმის მერიაში გამართულ საჯარო განხილვას ესწრებოდა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი, ბათუმის მერიის წარმომადგენელი, რევაზ დგვეფაძე და უშუალოდ შპს „ბათუმის მილის“ წარმომადგენელი. ამასთან აღნიშნულია, რომ სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვაზე შენიშვნები და წინადადებები არ დაფიქსირებულა ადგილობრივი მოსახლეობისგან. გაცნობებთ, რომ N63 სკოპინგის დასკვნის (სკოპინგის ბრძანება N428/ს; 01.11.2022) თანახმად, 2022 წლის 13 ოქტომბერს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში გამართულ საჯარო განხილვას ესწრებოდნენ სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს, შპს „ბათუმის მილის“, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვის სამმართველოს წარმომადგენლები და ადგილობრივი მოქალაქე. ხოლო საჯარო განხილვაზე დაფიქსირებული შენიშვნები/მოსაზრებები ძირითადად ეხებოდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევებით მოსალოდნელ ზემოქმედებას, ასევე გადასამუშავებლად მიღებული ნარჩენებიდან სუნის წარმოქმნა-გავრცელების რისკს, რომლებთან დაკავშირებითაც განმარტებები გააკეთა კომპანიის

წარმომადგენელმა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გზშ-ის ანგარიშში მოცემული ჩანაწერი საჭიროებს კორექტირებას.

სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თეიმურაზ მთივლიშვილი

სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო